ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის

ოქმი N6

ქ. ლანჩხუთი 23 თებერვალი, 2011 წელი

ლანჩხუთის მუნციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა რევაზ ჩიტიძე — მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის'' თავმჯდომარე დავით ჩხაიძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გია ორაგველიძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გოჩა ჯანაშია, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე პაატა ფირცხალაიშვილი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ილო გვარჯალაძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე მერაბ წილოსანი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ლანჩხუთელების" თავმჯდომარე მარინე თურნავა.

ბიუროს სხდომას არ ესწრებოდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ზვიად აფხაზავა.

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული პირები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებელი გიორგი გოგუაძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საზოგადოებასთან ურთიერთობის და ინფორმაციის სამსახურის უფროსი ეთერ ჭყონია, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი ირმა მგელაძე,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის მთ. სპეციალისტი ომარ ჯანაძე,

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა და ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმიანობის სამსახურის უფროსი მაკა გოგიჩაიშვილი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი პირები.

სხდომის თავმჯდომარე რევაზ ჩიტიძემ ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2011 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე კომისიებისა და ფრაქციების მიერ წარმოდგენილი შენიშვნებისა და დასკვნების განხილვა და აღნიშნული პროექტის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 25 თებერვლის სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი ი. გვარჯალაძე/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე კომისიებისა და ფრაქციების მიერ წარმოდგენილი შენიშვნებისა და დასკვნების განხილვა და აღნიშნული პროექტის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 25 თებერვლის სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი გ. ორაგველიძე/

3. „ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების განსაზღვრის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე კომისიებისა და ფრაქციების მიერ წარმოდგენილი შენიშვნებისა და

დასკვნების განხილვა და აღნიშნული პროექტის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 25 თებერვლის სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი გ. ორაგველიძე/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე კომისიებისა და ფრაქციების მიერ წარმოდგენილი შენიშვნებისა და დასკვნების განხილვა და აღნიშნული პროექტის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 25 თებერვლის სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი ი. გვარჯალაძე /

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამების დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტზე კომისიებისა და ფრაქციების მიერ წარმოდგენილი შენიშვნებისა და დასკვნების განხილვა და აღნიშნული პროექტის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 25 თებერვლის სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი გ. ჯანაშია/

6. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სიმბოლოს - გერბის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს განკარგულების პროექტზე კომისიებისა და ფრაქციების მიერ წარმოდგენილი შენიშვნებისა და დასკვნების განხილვა და აღნიშნული პროექტის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 25 თებერვლის სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი ი. გვარჯალაძე/

7. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2011 წლის ბიუჯეტიდან სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტზე კომისიებისა და ფრაქციების მიერ წარმოდგენილი შენიშვნებისა და დასკვნების განხილვა და აღნიშნული პროექტის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 25 თებერვლის სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი ი. გვარჯალაძე/

8. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის–ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელი საგანმანათლებლო– სააღმზრდელო ცენტრი"–ს 2011 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 12 იანვრის N2 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტზე კომისიებისა და ფრაქციების მიერ წარმოდგენილი შენიშვნებისა და დასკვნების განხილვა და აღნიშნული პროექტის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 25 თებერვლის სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი პ. ფირცხალაიშვილი/

9. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „უფასო სასადილო მზრუნველობამოკლებულთათვის“ 2011 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 12 იანვრის N3 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტზე კომისიებისა და ფრაქციების მიერ წარმოდგენილი შენიშვნებისა და დასკვნების განხილვა და აღნიშნული პროექტის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 25 თებერვლის სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი პ.ფირცხალაიშვილი/

10. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გაერთიანებული მუზეუმის“ დებულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 7 თებერვლის N18 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტზე კომისიებისა და ფრაქციების მიერ წარმოდგენილი შენიშვნებისა და დასკვნების განხილვა და აღნიშნული პროექტის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 25 თებერვლის სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი გ. ჯანაშია/

11. სხვადასხვა

ბიუროს წევრების მიერ დღის წესრიგის პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.
სხდომის თავმჯდომარე რევაზ ჩიტიძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.
**მომხრე 8, წინააღმდეგი არცერთი.**

**დღის წესრიგის პირველი საკითხთან დაკავშირებით** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2011 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ილო გვარჯალაძემ ბიუროს სხდომას გააცნო კომიისის დასკვნა. მან აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტის მიმართ კომისიის წევრების მიერ გამოითქვა შემდეგი შენიშვნები. კერძოდ,

1. სასურველია დადგენილების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2011 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული მოსახლეობის დამატებითი სოციალური მომსახურების წესის დამტკიცების შესახებ“.
2. მესამე მუხლის მე–3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: ,,განცხადება თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად მათი შემდგომი შესწავლისა და სოციალური დახმარების გაცემის თაობაზე დასკვნის მომზადების მიზნით ეგზავნება შესაბამის სამსახურს“
3. მე–4 მუხლი ეწინააღმდეგება საკრებულოს დებულებას (რეგლამენტს).
4. დადგენილებისა და დადგენილებით დამტკიცებული წესის სახელწოდება ერთნაირი უნდა იყოს.

საკითხთან დაკავშირებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე რევაზ ჩიტიძემ აღნიშნა, რომ მას მიზანშეწონილად მიაჩნია ამოღებულ იქნას პირველი მუხლის, 1–ლი პუნქტის ,,თ“ ქვეპუნქტი; მესამე მუხლის, მე–2 პუნქტს დაემატოს ,,გამგეობის შესაბამისი სამსახური“. მან ასევე აღნიშნა, რომ უპრიანი იქნება სოციალური საკითხი განიხილოს შესაბამისმა სამსახურმა კომისიური წესით და არა კომისიამ.

**ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება**

**1.** საკრებულოს ბიურომ არ გაითვალისწინა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის დასკვნის პირველი და მესამე პუნქტები

**2.** დადგენილების პროექტი შენიშვნების გათვალისიწინებით შეტანილ იქნას მ/ წ 25 თებერვლის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის პროექტში,

მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა

სხდომის თავმჯდომარე რევაზ ჩიტიძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს წარმოდგენილი შენიშვნების გათვალისწინებით.

**მომხრე 8, წინააღმდეგი არცერთი**

**დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების, მართვის, ბუნებრივი რესურსების და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გია ორაგველიძემ ბიუროს სხდომას გააცნო კომისიის დასკვნა. კომისიის სხდომაზე გამოითქვა შემდეგი შენიშვნები. კერძოდ,

1. დანართის N1–ის მე–2, მე–3, მე–4 და მე–5 პუნქტები სასურველია ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ა) ,,ქ. ლანჩხუთში 1 კვ.მ მიწის ნორმატიული ფასი დადგინდეს შემდეგი სახით"

ბ) ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ერთეულებში მიწის ნორმატიული ფასი დადგენილია ქ. ლანჩხუთში დადგენილი მიწის ნორმატიული ფასის 25%–ის რაოდენობით"

გ) სოფელ მალთაყვიდან მდ. სეფისწყალამდე შავი ზღვის ნაპირიდან 500 მეტრის რადიუსში არსებული დასახლებებში და დასახლებათა შორის არეალში მიწის ნორმატიული ფასი განისაზღვროს ქ. ლანჩხუთში დადგენილი მიწის ნორმატიული ფასის 100%–ით. ასევე მითითებული უნდა იყოს თუ რის საფუძველზეა დადგენილი აღნიშნული პროცენტები.

საკითხთან დაკავშირებით ბიუროს წევრების მიერ სხვა სახის შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

**ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:**

1. დადგენილების პროექტი შეტანილ იქნას მ/წ 25 თებერვლის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

2. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი ზაზა ქავზინაძე.

სხდომის თავმჯდომარე რევაზ ჩიტიძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

**მომხრე 8, წინააღმდეგი არცერთი**

**დღის წესრიგის მესამე საკითხთან** დაკავშირებით „ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების განსაზღვრის შესახებ"ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების, მართვის, ბუნებრივი რესურსების და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გია ორაგველიძემ ბიუროს სხდომას გააცნო კომისიის დასკვნა. კომისიის სხდომაზე გამოითქვა შემდეგი შენიშვნები. კერძოდ,

1. ადგილობრივი (ქონების) გადასახადის განაკვეთების განსაზღვრის დანართის N1 მუხლში არ არის მითითებული, თუ რომელი კანონით იქნა განსაზღვრული ქონების გადასახადის წლიური განაკვეთი, რომელიც ამ შემთხვევაში შეადგენს დასაბეგრი ქონების ღირებულების 1%–ს .

**ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:**

1. დადგენილების პროექტი შესწორებების გარეშე შეტანილ იქნას მ/წ 25 თებერვლის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის პროექტში.
2. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი ზაზა ქავზინაძე.

სხდომის თავმჯდომარე რევაზ ჩიტიძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

**მომხრე 8, წინააღმდეგი არცერთი**

**დღის წესრიგის მეოთხე საკითხთან დაკავშირებით** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ილო გვარჯალაძემ ბიუროს სხდომას გააცნო კომისიის დასკვნა. დადგენულების პროექტის ირგვლივ კომისიის წევრების მიერ გამოითქვა შემდეგი შენიშვნები. კერძოდ,

1. ,,საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების" ნაცვლად უნდა იყოს ,,საკრებულოს კომისიები"

2. წარმოდგენილ პროექტში უნდა დაკონკრეტდეს თუ თანხის რა პროცენტი უნდა დაუკავდეს საკრებულოს წევრს კომისიის ან საკრებულოს ერთი სხდომის გაცდენისათვის
3. აღნიშნული თანხა საკრებულოს წევრს ეძლევა კომისიებისა და საკრებულოს სხდომებში მონაწილეობის მისაღებად და სხვადასხვა დავალებათა შესასრულებლად გაწეული ხარჯების ანაზღაურებისათვის, ამიტომ საპატიო თუ არასაპატიო მიზეზით გაცდენას მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს, რადგან ორივე შემთხვევაში ხარჯები არ გაწეულა
4. როცა საკრებულოს წევრი არის 2 კომისიის წევრი. ასეთ შემთხვევაში დასაკონკრეტებელია, თუ როგორ უნდა გადანაწილდეს 100 ლარი;
5. შესამუშავებელი კონკრეტული წესი გამოყოფილი თანხის გადასანაწილებლად.

**ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება**

1. გათვალისწნებულ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის დასკვნის პირველი და მესამე პუნქტები.

2. განკარგულების პროექტი წარმოდგენილი შენიშვნებით შეტანილ იქნას მ/წ 25 თებერვლის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

3. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ილო გვარჯალაძე

სხდომის თავმჯდომარე რევაზ ჩიტიძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

**მომხრე 8, წინააღმდეგი არცერთი**

**დღის წესრიგის მეხუთე საკითხთან დაკავშირებით** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გოჩა ჯანაშია ბიუროს სხდომას გააცნო კომისიის დასკვნა.მან აღნიშნა, რომ სხდომაზე საკითხთან დაკავშირებით გამოითქვა შემდეგი შენიშვნები: კერძოდ,

1. აღნიშნული პროგრამების მე–5 მუხლი, უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

ა) პროგრამის დაფინანსების თანხის გაცემა უნდა განხორციელდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2011 წლის ბიუჯეტიდან სოციალურ–კულტურულ

ღონისძიებათა პროგრამების დაფინანსების წესის შესახებ“ დადგენილების შესაბამისად

ბ) კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია პროგრამების დაფინანსების მუხლში არ იყოს პროგრამებისათვის ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების ოდენობა განსაზღვრული.

საკითხთან დაკავშირებით ბიუროს წევრების მიერ სხვა შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

**ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება**

1. განკარგულების პროექტი შენიშვნების გათვალიწინებით შეტანილ იქნას მ/წ 25 თებერვლის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

2. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი ირმა მგელაძე.

სხდომის თავმჯდომარე რევაზ ჩიტიძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

**მომხრე 8, წინააღმდეგი არცერთი**

**დღის წესრიგის მეექვსე საკითხთან დაკავშირებით** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სიმბოლოს - გერბის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ილო გვარჯალაძემ. მან აღნიშნა, რომ მიზანშეწონილია არსებული კანონმდებლობის გათვალისიწნებით შეიქმანს სიმბოლიკის (გერბი და დროშა) შესარჩევი კონკურსის განმახორციელებელი დროებითი კომისია და განისაზღვროს დროებითი კომისიის უფლებამოსილება.

**ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება**

1. განკარგულების პროექტი შეტანილ იქნას მ/წ 25 თებერვლის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

2. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ილო გვბარჯალაძე

სხდომის თავმჯდომარე რევაზ ჩიტიძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

**მომხრე 8, წინააღმდეგი არცერთი**

**დღის წესრიგის მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2011 წლის ბიუჯეტიდან სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ილო გვარჯალაძემ.

**ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება**

1. განკარგულების პროექტი შეტანილ იქნას მ/წ 25 თებერვლის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

2. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ილო გვარჯალაძე

სხდომის თავმჯდომარე რევაზ ჩიტიძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

**მომხრე 8, წინააღმდეგი არცერთი**

**დღის წესრიგის მერვე საკითხთან დაკავშირებით** „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის–ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელი საგანმანათლებლო– სააღმზრდელო ცენტრი“–ს 2011 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 12 იანვრის N2 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე პაატა ფირცხალაიშვილმა ბიუროს სხდომას გააცნო კომისიის დასკვნა. კერძოდ, საკრებულოს 2011 წლის 7 თებერვლის N16 განკარგულების შესაბამისად გამგებელმა უნდა უზრუნველყოს მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების შესრულება. მათ შორის, ბიუჯეტის დამტკიცება, შესაბამისად ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს 2011 წლის 12 იანვრის N2 განკარგულება.

საკითხთან დაკავშირებით ბიუროს წევრების მიერ შენიშვნები არ დაფიქსირებულა

**ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება**

1. განკარგულების პროექტი შეტანილ იქნას მ/წ 25 თებერვლის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

2. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე პაატა ფირცხალაიშვილი

სხდომის თავმჯდომარე რევაზ ჩიტიძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

**მომხრე 8, წინააღმდეგი არცერთი**

**დღის წესრიგის მეცხრე საკითხთან დაკავშირებით** „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „უფასო სასადილო მზრუნველობამოკლებულთათვის" 2011 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 12 იანვრის N3 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე პაატა ფირცხალაიშვილმა ბიუროს სხდომას გააცნო კომისიის დასკვნა. კერძოდ, საკრებულოს 2011 წლის 7 თებერვლის N16 განკარგულების შესაბამისად გამგებელმა უნდა უზრუნველყოს მისთვის მინიჭებული უფლებამოსიელბის შესრულება, მათ შორის ბიუჯეტის დამტკიცება. შესაბამისად ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს 2011 წლის 12 იანვრის N3 განკარგულება

საკითხთან დაკავშირებით ბიუროს წევრების მიერ შენიშვნები არ დაფიქსირებულა

**ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება**

1. საკითხი წარმოდგენილი სახით შეტანილ იქნას საკრებულოს 2011 წლის 25 თებერვლის სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

2. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე პაატა ფირცხალაიშვილი

სხდომის თავმჯდომარე რევაზ ჩიტიძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

**მომხრე 8, წინააღმდეგი არცერთი**

**დღის წესრიგის მეათე საკითხთან დაკავშირებით** „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გაერთიანებული მუზეუმის" დებულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 7 თებერვლის N18 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გოჩა ჯანაშიამ ბიუროს

სხდომას გააცნო კომისიის დასკვნა. მან აღნიშნა, რომ განკარგულების პროექტში შეტანილია შემდეგი შესწორებები. კერძოდ, 2011 წლის 7 თებერვლის N18 განკარგულების პირველ პუნქტში სიტყვები ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გაერთიანებული მუზეუმი" შეიცვალოს სიტყვებით:

1. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და განვითარების ცენტრი"
2. დებულების პირველი მუხლის 1–ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რეაქციით ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და განვითარების ცენტრი" (შემდგომში ცენტრი) არის ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქარეთველოს ორგანული კანონის 22–ე მუხლის 1–ლი პუნქტის ,,ჩ" ქვეპუნქტისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1–ლი კარის მეორე თავის საფუძველზე შექმნილი კულტურულ–საგანმანათლებლო და სამეცნიერო კვლევითი დაწესებულება"
3. განკარგულების მთელ ტექსტში სიტყვა ,,მუზეუმი" შეიცვალოს სიტყვა ,,ცენტრით"

საკითხთან დაკავშირებით ბიუროს წევრების მიერ სხვა სახის შენიშვნები არ დაფიქსირებულა

**ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება**

1. განკარგულების პროექტი შეტანილ იქნას მ/წ 25 თებერვლის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

2. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გოჩა ჯანაშია.

სხდომის თავმჯდომარე რევაზ ჩიტიძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

**მომხრე 8, წინააღმდეგი არცერთი**

**სხვადასხვა**

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე რევაზ ჩიტიძემ** აღნიშნა, რომ ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" სხდომაზე

მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განხილულ იქნას საკითხი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების 2010 წლის 01 იანვრიდან 2011 წლის 01 იანვრამდე საფინანსო დოკუმენტაციის აუდიტორული შემოწმების და ჩატარების შესახებ. მან აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ 57–ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 90–ე მუხლის შესაბამისად ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა და თანამდებობის პირთა საქმიანობის საფინანსო კონტროლს მიეკუთვნება აუდიტორული შემოწმება, რომელსაც საკრებულოს წევრთა 1/3 წერილობითი მოთხოვნით, არა უმეტეს წელიწადში ერთხელ, ატარებს მოწვეული აუდიტორი. რომელიც მის ანგარიშს და დასკვნას წარუდგენს საკრებულოს თავმჯდომარეს. მანვე აღნიშნა, რომ საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) 135–ე მუხლით დადგენილი წესით საჯარო განხილვისათვის ქვეყნდება ბიუჯეტის შემოსულობების ანგარიში დამოკიდებული აუდიტორული შემოწმების მასალებსა და დასკვნებთან ერთად. საკრებულო არა უგვიანეს მ/წ პირველი მაისისა საკრებულოს დებულებით (რეგლამენტით) განსაზღვრული შესაბამისი პროცედურების გავლის შემდეგ იღებს გადაწყვეტილებას გასული წლის ბიუჯეტის წლიური ანგარიშის დამტკიცების შესახებ. მან მიზანშეწონილად მიიჩნია ზემოთ აღნიშნულის ვადის დაცვის მიზნით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებმა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პირებმა მ/წ 1 აპრილამდე უზრუნველყოს შესაბამისი აუდიტორული დასკვნის წარმოდგენა.

**საკრებულოს ბიურომ გადაწყვიტა:**

1. ,,ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საფინანსო დოკუმენტაციის აუდიტორული შემოწმებისა და ჩატარების შესახებ“ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი შეტანილ იქნას მ/წ 25 თებერვლის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის პროექტში.
2. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის თარიღად განისაზღვროს 2011 წლის 25 თებერვალი

3. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე პაატა ფირცხალაიშვილი
4. საკრებულოს აპარატის უფროსმა (ნინო ძიძიგური) უზრუნველყოს საკრებულოს მიერ განსახილველი სამართლებრივი აქტების პროექტის დაგზავნა შესაბამის კომისებსა და ფრაქციებში.

სხდომის თავმჯდომარე რევა ჩიტიძემ კენჭი უყარა აღნიშნულ გადაწყვეტილებას

მომხრე 8, წინააღმდეგი არცერთი

ამით ბიუროს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე: რევაზ ჩიტიძე

საკრებულოს აპარატის უფროსი: /ნ. ძიძიგური/

თანაშემწე: /დ.დოლიძე/

შემსრულებელი:
საკრებულოს მთ.სპეციალისტი საოქმო
და საორგანიზაციო საკითხებში /მ. კეკელიძე/